FOI03/16-020 24 მარტი 2016 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ სამინისტროს **(გარდა სსიპ-ებისა და საქვეუწყებო დაწესებულებებისა)** საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ინფორმაცია:

1) 2015წლის 1 ივლისიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე მინისტრის მოადგილეებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების ასლები;
2) 2016 წლის ბიუჯეტის გეგმით შრომის ანაზღაურების ფონდიდან პრემიებისა და სახელფასო დანამატებისათვის (ცალ-ცალკე) განსაზღვრული თანხები;
3) 2011-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) საშტატო თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურებისთვის (სარგო, პრემია, დანამატი ცალ-ცალკე) გაწეული ხარჯები;
4) 2011-2015 წლებში(ცალ-ცალკე წლების მიხედვით) შტატგარეშე თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურებისთვის (სარგო, პრემია, დანამატი ცალ-ცალკე) გაწეული ხარჯები;
5) 2011-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯები;
6) 2011-2015 წლებში(ცალ-ცალკე წლების მიხედვით) ე.წ. „როუმინგულ“ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;
7) 2011-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) სატელეფონო საუბრებზე გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯები;
8) 2011-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;
9) 2011-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) ავტომობილების შესყიდვაზე გაწეული ხარჯები;
10) 2011-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯები;

11) დღეის მდგომარეობით ბალანსზე რიცხული ავტომობილების ჩამონათვალი; (ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის, შესყიდვის ფასის და

ნარჩენი ღირებულების მითითებით. ასევე საჯარო მოხელის თანამდებობა, რომელსაც გადაცემული აქვს მფლობელობაში შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალება);

12) 2015 წელს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვის სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით;
13) დღეის მდგომარეობით მოქმედი საშტატო ნუსხა თანამდებობრივი სარგოების მითითებით;
14) დღეის მდგომარეობით მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე დანიშნული პირების სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ ინფორმაცია, ასევე აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები;
15) 2011-2015 წლების (ცალ-ცალკე) 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა (საშტატო და შტატგარეშე ცალ-ცალკე);
16) 2011-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა განთავისუფლების მიზეზების მიხედვით;
17) დღეის მდგომარეობით საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში/სამსახურში (მათ შორის პრესსამსახურში) დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა (საშტატო და შტატგარეშე ცალ-ცალკე) და/ან აღნიშნული საქმიანობით დაკავებული ცალკეული პირების რაოდენობა (ვებგვერდის ადმინისტრატორის და სოციალური მედიის გვერდის ადმინისტრატორის ჩათვლით);
18) 2015 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში/სამსახურში (მათ შორის პრესსამსახურში) დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება (საერთო ოდენობა) და/ან აღნიშნული საქმიანობით დაკავებული ცალკეული პირების შრომის ანაზღაურების ხარჯები (საერთო ოდენობა);
19) 2015 წელს გაწეული სარეკლამო ხარჯების ოდენობა, მათ შორის სატელევიზიო, ინტერნეტ, სოციალური ქსელის, საბეჭდი მასალების, ბროშურების, ბუკლეტების და სხვა სარეკლამო ხარჯები (ცალ-ცალკე სარეკლამო ხარჯების სახეობების მიხედვით);
20) 2015 წელს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისათვის გამართული შეხვედრების რაოდენობა და გაწეული ხარჯები (საერთო ოდენობა);
21) 2012-2015 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) გამართული საჯარო კონსულტაციების რაოდენობა;
22) 2015 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით გაწეული საკონსულტაციო მომსახურების დაქირავების ხარჯები;
23) კანონპროექტის/რეგულაციის/რეფორმის შემუშავების პროცესში კერძო და არასამთავრობო სექტორთან კომუნიკაციისა და პროცესში ჩართულობის სტრატეგია;
24) მოცემული დროისთვის რა სახის კანონპროექტებზე/რეგულაციებზე/რეფორმაზე მუშაობს თქვენი უწყება და რა ეტაპზეა მათი განხორციელება (პოლიტიკის შემუშავების საწყისი ეტაპი, მომზადებულია და წარდგენილია საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პარლამენტში, საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა ძალაში);
25) აღნიშნულ კანონპროექტებზე/რეგულაციებზე/რეფორმაზე მუშაობის პროცესში კერძო და არასამთავრობო სექტორის ჩართულობის მიზნით, რამდენი შეხვედრა, საჯარო დისკუსია, სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ჩატარდა;
26) აღნიშნული შეხვედრების, საჯარო დისკუსიების და/ან სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმების ასლები;

27) მოცემულ კანონპროექტთან/რეგულაციასთან დაკავშირებით შემუშავებული საკანონმდებლო ზეგავლენის შეფასება.

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.
გაცნობებთ, რომა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს„საჯაროინფორმაციისასლისგადაღებისმოსაკრებლისშესახებ“საქართველოსკანონი თდადგენილიმოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი